



## ივანე ჯავახიშვილის სახელობის პირველი ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმი თსუ-ში



გასულ კვირას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის სლოგანად მიმდინარე პირველი ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმი გაიმართა. ფორუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივით დაწესდა.

მასზე საუბარებდა კომისიების მიერ შერჩეულ საუკეთესო მოხსენებებს წაიკითხავენ მათი ავტორები – თსუ პროფესორები, ემერიტუსები და მეცნიერ-თანამშრომლები. თითო ფაქულტეტიდან წარმოდგენილი იქნება თითო ნაშრომი. ფორუმში მონაწილე მოხსენებების ავტორებს გადაეცემათ სერტიფიკატი და წამახალისებელი თანხა 5 ათასი ლარის ოდენობით.

ლონისძიებს თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე, თსუ პროფესორები, სტუდენტები, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სამთავრობო და საკანონმდებლო სტრუქტურების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

თსუ რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიაში გამოჩენილი ადამიანია, საზოგადო მოღვაწე, დიდი ქართველი მეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი. უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საიუბილეო დღეებში ყოველწლიურად ჩატარდეს სამეცნიერო ფორუმი, სადაც სამი დღის განმავლობაში

ბაზრკელაშვილი გვ-2 გვ.

## გერმანელმა მეცნიერმა მინიჭებული პრემიის თანხა ქართველოლოგიის განვითარებისთვის გალარისხა



გვ-4

## ახალი სალოქტორო პროგრამა თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცხადდა მიღება ახალ სალოქტორო პროგრამაზე ევროპის მსოფლიოში. პროგრამას მილიანად ევროკავშირი დააფინანსებს.

გვ-4

## მარინე ჩიტაშვილი: „... თუ არ გავაკეთებთ ჩვენ, მოვა თაობა, რომელსაც აუსცილებლად მოუწევს ამის გაკეთება.“



ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის დღიდან, უნივერსიტეტი რეფორმის მოლოდინში ცხოვრობს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე მარინე ჩიტაშვილი ხელმძღვანელობდა სამუშაო ჯგუფს, რომელიც თსუ აკადემიური და ადმინისტრაციული მოღონიშების 2014 პროექტზე მუშაობდა. ჯგუფში თსუ ფაქულტეტის დეკანები და თსუ ცენტრალური ადმინისტრაციის წარმომადგენლები შედიოდნენ. სამუშაო ჯგუფმა უნივერსიტეტის პირველადი შეფასება გააკეთა და რეფორმის ხედვის პირველი დოკუმენტიც დადო. ანგარიშ-შეფასების, კომენტარების ყველა ფაქულტეტს გადაეგზავნა, განხილვა 17-28 მარტის შუალედში მოხდა თსუ ექვსეულ ფაქულტეტზე. ქალბატონი მარინე ამბობს, რომ მიზანზე – თსუ გახდეს თანამედროვე საერთაშორისო-კვლევითი უნივერსიტეტი, რომელიც ჩადება 500 მოწინავე უნივერსიტეტის რიგებში, კონსენსუსი მიღწეულია. თუმცა ამ მიზნისკენ გადასადგმელ ნაბიჯებსა და კონკრეტულ გზებზე შეთანხმება ჯერ კიდევ წინაა.

– თავდაპირველად საკმაოდ უტოპიური გეგმა გვექონდა – 21 ნოემბრიდან 1

იანვრამდე დაგეგვლო სამომავლო განვითარების ხედვა. მაგრამ უნივერსიტეტი ძალიან დიდი სტრუქტურაა. თუ ამოსავალი პრინციპია, რომ ყველაფერი უნდა შეიცვალოს ევოლუციური გზით, აკადემიური პერსონალის მაქსიმალური ჩართულობით, თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის პრინციპის დაცვით, აკადემიური თავისუფლების მოდისის ხელშეუხებლობით და შედეგად მიიღო თანამედროვე გიანის, სტუდენტებზე ორიენტირებული, საერთაშორისო კვლევითი უნივერსიტეტი, აღმოჩნდება, რომ თქვენ ამას 2 თვეში ვერ გააკეთებთ. უფრო მეტიც – საუკეთესო შემთხვევაში, შედეგი შეგიძლიათ მიიღოთ რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ. მანამდე კი ჯერ ის უნდა შეაფასო, თუ რა გაქვს ახლა და რა გაკლია, ან რა გაქვს გასაკეთებელი, რომ შექმნა ის, რაც გინდა.

შეფასების დოკუმენტი გულისხმობდა მარტივ ფორმულირებას – თქვენ გაქვთ N რაოდენობის ფული, რას აკეთებთ ამ ფულით? რამდენად ეფექტურად და ეფექ

ბაზრკელაშვილი გვ-3 გვ.

## შპაიერის უნივერსიტეტისა და თსუ-ს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა „საქარო მმართველობა“



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის საერთო სამაგისტრო პროგრამის „საქარო მმართველობა“ დიპლომები 2014 წლის გაზაფხულზე 17 კურსდამთავრებულს გადაეცა.

გვ-4

## ლია კარის დღე ქუთაისში



გვ-2

## სკორტი უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტში სისტემატურად იმართება.

გვ-4

## „მისია 2014“ – მორიგი შანსი თსუ სტუდენტებისთვის

თსუ-ში სტუდენტური კონკურსი „მისია 2014“ დაიწყო. სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში – „მისია“ ყოველწლიური პროექტია, რომელსაც უნივერსიტეტი და წარმატებული ქართული ბრენდი ერთობლივად ახორციელებენ. ყოველწლიურად კონკურსის მონაწილე ბრენდი იცვლება და კონკურსანტები ახალ იდეებს ახალი პარტნიორისთვის ქმნიან. წლებიდანელი პარტნიორია შპს „სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტები“. კონკურსის მიზანი სტუდენტების იდეების განხორციელებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, კონკურსის გამარჯვებული სტუდენტების პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა და სამომავლო დასაქმების პერსპექტივის გაზრდაა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა დარწმუნებულია, რომ „მისია 2014“, წინა წლის, უკვე განხორციელებულ პროექტებზე, არანაკლებ წარმატებული იქნება. „მისიის“ წარმომადგენელმა პარტნიორმა, „შპს სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტები“, თავის მხრივ ის იცის, რომ უნივერსიტეტის ამ პროექტში ჩართული ყველა კომპანია თანამშრომლობით და შედეგით ძალიან კმაყოფილი დარჩა. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზი, რის გამოც „სანტე“ „მისია – 2014-ის“ პარტნიორობა გადაწყვიტა. კერძოდ, კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილის ერეკლე გამყრელაძის თქმით, ეს სტუდენტური კონკურსი შესაძლოა კომპანიისთვის



ბაზრკელაშვილი გვ-3 გვ.





